წელიწადი მეოთხე.

საქართველო უწინარეს ყოვლისა.

# თეთრი გიორგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰე, მამულო საყვარელო, შენ [stamp] რომ მოგიწყენი —
არ ათრთოლდეს სიხარულის აღტაცებითა აქ ჯდომილი?
ვინ გიხილოს დროსა საშიშს, არ დასთხიოს თვისი სისხლი,
არ დააკლას თავი თვისი შენს დიდებად, ვითა მსხვერპლი?

გრ. ორბელიანი.

ფასი 2 ფრანკი. | პარიზი აპრილი 1929 წელი. № 18

ქართველ პატრიოტთა ორგანო თეთრი გიორგი.

Journal de l'Organisation des Patriotes Géorgiens "THETHRI GUIORGUI"

Rédaction : THETHRI GUIORGUI, 11, Porte Champerret PARIS-XVIIe

Avril 1929 № 18 PARIS

∴

ქრისტე აღსდგა! ძვირფასო თანამემამულენო! მაგრამ ქართველთათვის აღსდგა კი ქრისტე, როდესაც საქართველოს ჯვარცმა გაკრული და ჩრდილოეთის ყვავ-ყორანნი სწიწკნიან მის მრავალ-ტანჯულ სხეულს? აღსდგა ქრისტე ჩვენთვის, ვინც უცხოეთს გადაკარგულნი, ვით მტრედნი წყლებზე გაგილოდნისა, ვსტირით ჩვენ ხვედრს და საქმელო ტყვეობაში ვცხოვრებთ?

მაგრამ ქრისტე მაინც აღსდგა! აღსდგა ვინაიდან მის მიერ დაიხსნა კაცობრიობა და ქვეყნიერებას მიანიჭა სხივებით მადლი. მაშინ როდესაც იესოს სხეული მტრების მიერ წამებული და დამარცხებული მძიმე ლოდის ქვეშ, სამარეში გაიისვენებდა, მისი ნათელმოსილი აჩრდილი მოევლინა მოწაფეებს და უთხრა: «მე გავიმარჯვე! წადით და მსოფლიოს მოსდეთ ქრისტიანობა!».

დღეს საქართველოს ეროვნული სხეული ჯვარზეა გაკრული, მაგრამ მას ქრისტესავით შეუძლიან სთქვას: «მე გავიმარჯვე!» დიახ, გაიმარჯვა საქართველომ, რადგან რამდენათ მეტად აწამებენ მის სხეულს, იმდენათ მეტად ძლიერდება მისი სულის სიმტკიცე, იმდენად მძლავრად იჭედება მისი ეროვნული იდეალი. ქრისტე აღსდგა! აღსდგა ჩვენთვისაც! ჩვენთვის მეტად ვიდრე ვისთვისმე.

თუ ქართველი ხალხი საუკუნიდან საუკუნემდე იბრძოდა შეუდარებელ ენერგიით და ისტორიის უსაშინელეს კორიანტელიდან გამოვიდა გამარჯვებული; თუ შესძლო მან ის, რაც საკაცობრიო ისტორიის მთელ სივრცეზე ვერ შესძლო ვერც ერთმა ერმა — ეს იმიტომ, რომ საქართველოს ერთი კიდიდან მეორემდის მუდამ აღფრთოვანებით და აღტაცებით გაისმოდა რწმენის ცეცხლით სავსე სიტყვები: ქრისტე აღსდგა!

და სანამ გვფარველობს და წინ მიგვიძღვის წმინდა ჯვარი, სიმბოლო მუდამ გამარჯვებულ იესოსი, სანამ ვერ გავტეხს და ვერც დაგვამარცხებს ვერავითარი მიწიერი ძალა და შავი ბედი! ქრისტე აღსდგა! იმედით და რწმენით შევხედოთ მომავალს. საქართველომ უკვე გაიმარჯვა... და არც არასდროს დამარცხდება საქართველო, რადგან მისი მტკიცე, დაუშრეტელი და უკვდავი სული მიუწვდომელია ისტორიის სიმუხთლის და მტერთა გორგეტების მიერ.

---

## მარტივი საუბარი.

გაზეთ «დამოუკიდებელ საქართველოს» მე-39 ნომ. მოთავსებულია ბ-ნ ყორყოლიანის წერილი მიმართული თეთრი გიორგის წინააღმდეგ. ეს გაზეთი, რომ ნამდვილ «საერთო ფრონტის» ორგანო იყოს ქართულ პოლიტიკურ ორგანიზაციათა შორის საპოლემიკო წერილებს არ მოათავსებდა თავის გვერდებზე. მაგრამ ეს ასე არ არის. გაზეთი «დამოუკიდებელი საქართველო» მხოლოდ გაზ. ბრძოლის განყოფილებაა. ამიტომ მისი საქციელი არ გვიკვირს.

რაც შეეხება წერილის ავტორს შემდეგს უპასუხებ:

1. — მისი ნამდვილი პიროვნება მე კი არ გამომიმჟღავნებია, არამედ თვითონვე გამოაშკარავა იმნაირ ფსევდონიმით, რომელსაც ფრანგები უწოდებენ: Le secret de Polichinelle მე რომ ჩემი გვარი შუაზე გავყო და დავსწერო კერეს — ვლიგ ეს ფსევდონიმი არ იქნება, ვინაიდან ფსევდონიმის დანიშნულებაა ფაქტიურად და არა ფიქტიურად დამალოს ავტორის სამდვილი სახელწოდება.

2. — მარქსის და რუსის ნიჰილისტების შეგირდები ვერც ლიტერატურულ და ვერც სხვა რამე ეთიკას ვერ მასწავლიან.

3. — მე პანდერპელდე ერთი სიტყვითაც არ გამილანძღავს, ვთქვი მასზედ მხოლოდ სიმართლე. მიკვირს როგორ გედავებ ვისმე ლანძღვა უკიჟინონ ის სოციალ დემოკრატები, რომელნიც თავის პარტიულ ორგანოში თვით ილია ჭავჭავაძესაც კი ლანძღავდნენ და ლაფში ათრევდნენ. გ. მგავთ საგუთები?

4. — რაც შეეხება ევროპიელ სოციალისტების საქართველოსადმი მეგობრობას უნდა მოგახსენოთ, რომ მაგათი მეგობრობა მხოლოდ მავნე არის ჩვენი ქვეყნის პოლიტიკისათვის ევროპაში.

5. — რაც შეეხება ქართულ რაინდობას მაზედ ლაპარაკი სოციალისტის მიერ მხოლოდ სასაცილოა. როგორც ყველამ უწყის თქვენ, ე. ი. ქართ. სოციალ დემოკრატები «ამისთანა რამეებს» ყოველთვის ებრძოდით, როგორც საშუალო საუკუნოების ნაშთს. სოციალ დემოკრატებს, რომელთაც ჩვენს ქვეყანაში «მაუზერისტების» და «ტერორისტების მთელი კასტა შეჰქმენით, რაინდობასთან არაფერი საერთო არა აქვთ: «არა მეჯდა მწყერი სხსა არა იყო გვარი მისიო».

6. — თეთრი გიორგის აქვს თუ არა საქართველოში ნიადაგი მაგას ჩვენ დაგანახვებთ და ისე, რომ აღარ გაგეცინებათ. საქართველოში თქვენი ნიადაგი და სოციალური ბაზა იყო ქართველი ხალხის სილატაკე და ეროვნული შეუგნებლობა. თქვენ ამაზე გაწიეთ სპეკულიაცია და მასზედ დაამყარეთ თქვენი დემაგოგია, რითაც საქართველო დაანგრიეთ და მტერს ჩაუგდეთ ხელში. თეთრი გიორგის სოციალური ბაზა კი საქართველოში არის, ქართველი ხალხის პატრიოტიზმის და ეროვნულ სულის აღორძინება და ჩვენ ამ ნიადაგზე ავაგებთ ეროვნულ შენობას და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას. მომავალი გვაჩვენებს ვინ გაიმარჯვებს: თქვენ სოციალისტურ სისხლიან დროშით თუ ჩვენ, ეროვნულ ლოზუნგით და თეთრი გიორგის დროშით.

7. — თუ მეორე ინტერნაციონალს თავის ბრიუსელის კრილოებზე საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო რეზოლიუცია არ გამოუტანია, მაშ რათ ინება ბ-ნ ყორყოლიანმა თავისი წიგნაკის დაწერა მეორე ინტერნაციონალის წინააღმდეგ მიმართული და, რომელსაც ეწოდება: «მეორე ინტერნაციონალის მძიმე შეცდომები»? მაშ მთელი მისი წიგნაკი ფანტაზია ყოფილა? ხოლო საქმე იმაშია, რომ ქართულად ერთსა სწერთ და ფრანგულად მეორეს! ალბად ვიღაცას ატყუებთ. ესეც კია იანუსივით ორი პირისახე იმიტომა გაქვთ, რომ გამოიყენოთ. მაგრამ კიდევ გიმეორებთ: ტყუილების პოლიტიკას ყოველთვის და ყველა დამარცხებამდე მიჰყავს. სიყალბე და ტყუილები მკვიდრი ნიადაგი არ არის და მასზედ აშენებული საქმე ხულ მუდამ თქვენი საქმეებივით დაინგრევა.

8. — დასასრულ იმედი მაქვს, რომ ყორყოლიანი, რომელთან მე ყოველთვის კარგი პირადი განწყობილება და ამხანაგური პატივისცემა მქონია და მაქვს კიდევაც, ჩემ კრიტიკას არც პირველს და არც ამას არ მიიღებს როგორც მის წინააღმდეგ პიროვნულ გალაშქრებას. მე ვეკამათები მხოლოდ მავნე იდეებს და პოლიტიკურ აქტებს და არა პიროვნებებს.

∴

«დამოუკიდებელ საქართველოს» იმავე 39 ნომერში მოთავსებულია წერილი ლიოტენანტ ნ. მაზარაძისა. ავტორი უსაყვედურებს ნიკოლაევიჩის დამტირლებს. ეს ძალიან კარგი და ჩვენ ვიზიარებთ მის გულისწყრომას და ჩვენი პროტესტი ამის შესახებ დიდი ხანია დავბეჭდეთ გაზ. თეთრი გიორგიში. მაგრამ ისმის საკითხი: «დამოუკიდებელი საქართველო» რაღა მხოლოდ ამ საქციელის შესახებ სწერს და ავიწყდება ის, რომ ჩვენი სოციალ დემოკრატები რუსის სოციალ დემოკრატების საფლავებზე დასტირიან და მით ლხინში ილხენენ. განა ამას წინეთ ჩვენმა სოციალისტებმა არ იდღესასწაულეს რუსეთის რევოლიუციის «ბაბუშკას» იუბილეი? მერე ვინ ბრძანდება ბრეშკა — ბრეშკოვსკა? ვინ? ბრეშკამა შვა ორი ძმასი ლენინი და პლეხანოვი: მტრები საქართველოსი; ამათ შვეს: ტროცკი და მარტოვი, კერენსკი და ჩერნოვი; მათგან იშვნენ: სტალინი, პანკრატოვი, ორჯონიკიძე, ჩეკები, ჯალათები ე. ი. საქართველოს მოსისხლე მტერნი. რა განსხვავებაა საქართველოსთვის ბრეშკასა და ნიკოლაევიჩის შორის? არაფერი გარდა იმისა, რომ თუ პირველი რუსეთის «ბაბუშკაა» მეორე «დედუშკა»; პირველია რუსის კომისრის სიმბოლო, მეორე «ჩვენი ნაჩალნიკის». ორთავეს ზელებზე და სინდისზე ქართველი ხალხის სისხლია.

მაგრამ აგა სცადეთ, ბატონებო და, მიუტანეთ «დამოუკიდებელ საქართველოს» პატარა წერილი, პატარა პროტესტით სოციალისტების ამნაირ საქციელის წინააღმდეგ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ: წერილს თავზე დაგახევენ. ასეთი ორი ზომა აქვთ გაზ. «დამოუკიდებელ საქართველოს» და ამიტომაც მას არა აქვს უფლება თავი ეროვნულ ინტერესების დამცველად მოიტანოს.

∴

ამას წინეთ მოსკოვის ოფიციალურ ორგანოში მოყვანილი იყო შემდეგი ორი ცნობა: ქალაქ ლენინგრადში უკანასკნელ წლის განმავლობაში მოხდა 14 000 ქორწინება და ამ რიცხვიდან 10 000 რამდენიმე თვეში გაიყარნენ. ყველა დაეთანხმება, რომ ამნაირი ქალაქი მხოლოდ ერთი დიდი «სარობკიპო სახლია». რუსეთის სხვა ქალაქებიც ამავე სურათს წარმოადგენენ. აი შედეგი სოციალისტურ რეფორმების. ომის წინეთ ბებელმა დასწერა ერთი დიდი თხუზულება: «ქალი და სოციალიზმი» ამ წიგნში ბებელი ანვითარებს სწორეთ იმ იდეებს ცოლქმრობის შესახებ, რომელიც ბოლშევიკებმა განახორციელეს რუსეთში. ბებელის თხუზულების იდეებს დიდათ ავრცელებდნენ საქართველოში ჩვენი სოციალ დემოკრატები, რამაც დიდი ზნეობრივი ზარალი მიაყენა ჩვენ ქვეყანას. იქნებ გგონია მკითხველო, რომ სოციალ დემოკრატები რუსეთის მაგალითის შემდეგ ამ მავნე მანიებიდან განიკურნენ? თუ ეს გგონიათ სცდებით: «აკ გათეთრდების ყორანი რაც გინდა ზეზო ქბილმითაო» ნათქვამია.

2. — დიდი სიცივეების დროს მოსკოვში ერთ დამეს ორასი უბინაო მოქალაქე ქუჩებში გაიყინა და მოკვდა. აი, ესეც შედეგი სახლების სოციალიზაციის, ნაციონალიზაციისა, მუნიციპალიზაციისა და სხვა და სხვა ზაციების, რომელნიც იშვნენ ავადმყოფ თავებში და განხორციელება მიიღეს უკულტურო ქვეყნებში. აი, რას უმზადებენ საქართველოს ჩვენი სოციალისტები თუ კიდევ გარემოებამ ისინი მის ბატონებლად გახადა. მაგრამ ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებულნი, რომ ეს ასე არ მოხდება.

ლეო კერესელიძე.

---

## ჩვენ ვამბობთ.

(თეთრი გიორგიმ უნდა მოამზადოს ქართველი ხალხის სულიერ—ზნეობრივი და სოციალური აღორძინება. —თეთრი გიორგის პირველი ყრილობის რეზოლიუცია მუხლი მე 6.)

ჩვენ ვამბობთ: პატრიოტიზმი უმაღლესი კულტურის შედეგია.

ერის კულტურა დამყარებულია: ოჯახზე, სარწმუნოებაზე, ტრადიციებზე, ეროვნულ ზნეობაზე, რომელნიც ჰქმნიან ეროვნულ შეგნებას.

ჩვენ ვამტკიცებთ: საქართველო ძველი და მძლავრი კულტურის ქვეყანაა, ე. ი. მთელი თავის ისტორიის განმავლობაში ქართველი ერი ყოველთვის იყო აღჭურვილი სალ ნაციონალიზმით და უკიდურეს პატრიოტიზმით და სწორედ ამიტომ საქართველომ შესძლო თავის მიწა-წყლის, დამოუკიდებლობის და ეროვნულ არსებობის დაცვა.

ისეთი ძლიერი და საღი იყო ეროვნული საფუძველი, რომ მონღოლების უსაშინელეს შემოსევის შემდეგ საქართველო შედარებით ადვილად აღსდგა ფეხზე.

ჩვიდმეტი წლის განმავლობაში თემურ-ლენგი შვიდჯერ შემოესია საქართველოს და მიანგრ-მოანგრია, მითელ-მოთელა, დაწვა-დაბუგა, მაგრამ საქმით თავი ვერ დაადებინა.

თავის სიკვდილის წინ თემურ-ლენგმა საქვეყნოდ გამოაცხადა თავრიზში: «მთელი აზია დავიმორჩილე, ყველანი ვიყმე საქართველოს გარდა; ჩემი ძალ-ღონე საქართველოს შევალიე და ჩემი გონებისად ვერ დავიმორ-

ჩილე, საუმდე თავი ვერ დავაღწიეთ-ო».

თემურ ლენგის შემოსევამ ისე ააოხრა ქვეყანა, იმდენად დიდი იყო საქართველოსათვის მიყენებული ზიანი რომ კერძო, ნაწილობრივი შეკეთებით და განახლებით ჩვენი სამშობლოს აღშენება შეუძლებელი იყო. მხოლოდ მთელი სახელმწიფოს და ერის შეერთებული, შეთანხმებული, მიზანშეწონილი და ხანგრძლივი მოქმედებითა და დიდი ქონებრივი სახსრის გაღებით შეიძლებოდა მონღოლთა ბარბაროსულ შემოსევისაგან გაპარტახებული ქვეყნის აღდგენა. სწორედ ასეთ გეგმას და საქმიანობას მიმართა ალექსანდრე მეფემ. ამ «მეფეთა მოძღვრის წარჩინებულმან დიდმა ალექსანდრემ» საქართველოს დაუბრუნა ყველაფერი, რაც მას ეკუთვნოდა, მიგნით ქვეყნის ერთობა და მთლიანობა განამტკიცა, განადგურებული ციხეები და ეკლესია-მონასტრები აღადგინა. ზოგი მონაპირე ქვეყნებიც, რომელნიც წინეთ საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში შედიოდა კვლავ შემოუერთა.

ჩვენ ვამბობთ: შედარებით ადვილია მატერიალური ზიანის აღდგენა, დანგრეულის აშენება, როდესაც ერი სულიერად ძლიერი და საღია.

მონღოლთა შემოსევამ ვერ მოსპო ქართველი ერის დიადი სული. ამ სულის მატარებელი იყო ქართველი ერი მთელი თავისი შემადგენლობით. უმართველი წრეები კი თავის თაოსნობით და მხნეობით იყვნენ აღსავსე იმ ხალხური სიბრძნით, რომელიც არის თავგანწირული სიყვარული სამშობლოსადმი.

სიყვარული სამშობლოსადმი არის საფუძველი სიცოცხლისა, წინსვლის და ბედნიერების. ამის საფუძვლად ჩვენს ისტორიაში მუდამ არის ქართული ოჯახი. ქართველი ქალი საუკუნეთა განმავლობაში იყო ქართველთა სახელმწიფოს დამცველი. ალექსანდრე მეფის დიდებული ხანა სწორედ მაჩვენებელია იმისა, თუ რა შეუძლია ქართველ ერს და რა უდიდეს ზნეობრივი ძალის მატარებელია ქართველი ქალი.

ალექსანდრე დიდის წინამძღოლად მის აღმშენებლობით მოქმედებაში იყო აჩრდილი იმ არაჩვეულებრივ პიროვნების, რომელიც იყო მისი ბებია—აღმზრდელი რუსა. თავის ხანგრძლივ მოღვაწეობის დროს ალექსანდრე მეფე მუდამ ზრუნავდა: «ბეგია ჩემისა ჩემზედ მრავალფერად ბალდებულისა და ჭირნახულისა სულისათვის». ამ დიდ ქართველ მანდილოსანს ქუცნა ამირეჯიბის ცოლს, რუსას, თავის შვილი-შვილისათვის პირადი მაგალითით თუ სიტყვით ან აღზდით ქვეყნის კეთილდღეობაზე და აღმშენებლობაზე ზრუნვის წყურვილი და მოვალეობის გრძნობა ჩაუნერგავს. ეს ქართველი ქალი რუსა დიდი მხნეობის და ნების-ყოფის პატრონი, სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის უნარით და თაოსნობით დაჯილდოვებული, არის სიმბოლო საქართველოს აღორძინებისა მონღოლების შემოსევის შემდეგ.

ჩვენ ვამბობთ: ფუჭია და უნიადაგო ყოველგვარი პოლიტიკა თუ მას არა აქვს ისტორიული და ზნეობრივი საფუძველი.

მონღოლთა შემოსევამ მხოლოდ გარეგნულად ფიზიკურად და მატერიალურად დააზიანა საქართველო და ვინაიდან ზნეობრივი საფუძველი ხელუხლები დარჩა, ალექსანდრე მეფემ შედარებით ადვილად აღადგინა სახელმწიფო.

ხალხის მამოძრავებელი და პროგრესის მატარებელი ერთად-ერთი ძალა მის ისტორიულ ნიადაგზე ეროვნული ფორმაცია და შეგნებაა. რუსეთის კოლონიალურ პოლიტიკის შემდეგ ეროვნულად დაცემულმა, ეროვნულ შეგნება დაკარგულმა ხალხმა ვერც ეროვნული მთავრობა შექმნა და ვერც თვითონ დაიცვა ქვეყანა. ზნეობრივად, სულიერად და ეროვნულად დავრდომილი ხალხი მნელად იმართება წელში.

ჩვენ ვამბობთ: «თეთრი გიორგიმ» უნდა მოამზადოს ქართველი ხალხის სულიერ-ზნეობრივი და სოციალური აღორძინება.

ერთმა დიდმა ისტორიკოსმა სთქვა: «უძვირფასესი ნიჭი და უნარია, როდესაც ერს თუ კერძო პიროვნებას, განსაცდელისა და გაჭირვების, სიკვდილისა და ნგრევის დროს, აღორძინებისა და აღმშენებლობის წყურვილი და ხალისი არ დაუკარგავს, ეს საღი საზოგადოებრივი სხეულის, ადამიანის ძლიერი მაჯისცემისა და ცხოველმყოფელი დაუშრეტელი სიცოცხლის დამამტკიცებელია».

ჩვენ მოვუწოდებთ ქართველებს ჩვენთან ერთად ვეზიაროთ ამ მცნებას.

ქართველნო, თუ რუსეთის ბატონობის მიერ დამსხვრეული ეროვნულ-ზნეობრივი ნანგრევები არ აღვადგინეთ, თუ ჩვენი ხალხი სულიერად არ გავაჯანსაღეთ, თუ მასში არ შევიტანეთ უმაღლესად განვითარებული ეროვნული შეგნება, ვერც დამოუკიდებლობას შევინარჩუნებთ და ვერც შინაგან ცხოვრებას მოვაწყობთ.

გ. საფარელი.

Il n'est point d'homme d'Etat, non pas même grand, mais seulement digne de ce nom, s'il ne sait où il va, pourquoi il y va; s'il n'a déterminé à l'avance comment il pourra y aller. (CHARLES BENOIST)

Il faut vouloir pour de vrai, ou ne pas vouloir; les choses en politique.

(CANOVAS DEL CASTILLO)

საჭიროა დრო გამოშვებით, სქემატიურად მაინც, გავაცნოთ ხოლმე მკითხველებს თეთრი გიორგის შინაარსი, როგორც აზროვნების ეგრეთვე მისი ტაქტიკის და ორგანიზაციის მხრივ.

იდეოლოგია. ჩვენი მოქმედების დასაწყისიდანვე გადავწყვიტეთ თეთრი გიორგისათვის იდეოლოგიური ნიადაგი დაგვედო, რადგან უიდეოლოგიოთ შეუძლებელია მძლავრი მოძრაობის შექმნა. იდეოლოგია ჰქმნის რწმენას და რწმენა ძალას.

საჭირო იყო ეს ეგრეთვე საქართველოსათვის. ქართულ პოლიტიკურ პარტიების იდეოლოგიები სავსებით უცხოეთიდან იყვნენ გადმოღებულნი და მით ეროვნულ ნიადაგს მოკლებულნი, რამაც ქართული საზოგადოება შეაჩვია ყალბ აზროვნებას. ეროვნულ იდეოლოგიას მოკლებული ხალხი ადვილად გაჰყვა სოციალისტურ დემაგოგიას. შედეგი ამისა ყველამ უწყის და განმარტება ზედმეტია.

წარსული გამოუსწორებელია და დღეს მხოლოდ გაკვეთილებად გამოგვადგება. საჭიროა ვიფიქროთ მომავალზე და ჩვენ ხალხს მივცეთ ეროვნული იდეოლოგია და თეთრი გიორგიმ კიდევაც დაიმუშავა ეს უკანასკნელი ai მოკლეთ, თეთრი გიორგი-ს იდეოლოგიის უმთავრესი დამახასიათებელი მხარეები: საქართველოს ორგანიზმი რუსეთის ბატონობის და მის კამათახსირებელ გავლენის წყალობით დააავადმყოფებულია. საჭიროა ეროვნული აღორძინება პატრიოტულ ნიადაგზე, რომელსაც საფუძვლად უნდა ედეოს მისი ისტორიული კულტურა. ამ კულტურის უმთავრესი ელემენტები იყვნენ: ოჯახი, როგორც პიროვნებათა უდიდესი აღმზრდელი; სარწმუნოება, როგორც საზოგადოებრივ ზნეობის უმაღლესი ხელმძღვანელი; ეროვნული ტრადიციები; როგორც უდიდესი ფაქტორი აწმყოს წარსულთან კავშირისა. უნდა შეიქმნას ეროვნული სახელმწიფო, რომელიც განახორციელებს კლასთა სოლიდარულ თანამშრომლობას, ურომლისოდაც საზოგადოებრივი განვითარება შეუძლებელია და, რომელიც მუდამ ახასიათებდა ქართულ ცხოვრებას. ეროვნულ სახელმწიფოს ადმინისტრაციული და პოლიტიკური დაწესებულებანი იქნებიან იმ თვისების, რომლის ფარგლებში საქართველოს თემთა და პროვინციათა ორიგინალური ნიჭი შეხმლებს ფართოდ ფრთების გაშლას და შემოქმედებას. სიმდიდრე ქართულ კულტურისა სწორედ ამ ნიჭთა სხვა და სხვ ფეროვნებებში და ორიგინალურ თვისებებში მდგომარეობს და ეროვნულ სახელმწიფოს უმთავრესი დანიშნულება სწორედ მათ განვითარებაში უნდა მდგომარეობდეს.

ორგანიზაციის ტიპი. ჩვენ შევქმენით დღევანდელ გარემოებასთან და დღევანდელ ბრძოლის პირობებთან შეგუებული ორგანიზაცია.

უნდა აღვნიშნოთ, რომ თეთრი გიორგის ორგანიზაციიდან სავსებით დევნილია ის, რაც ახასიათებს ჩვენ პოლიტიკურ პარტიებს: პირადი ამბიციები და ინტრიგები. ამ ორ დიდ და მავნე ნაკლს თეთრი გიორგიში არა აქვს ადგილი, ვინაიდან მის ორგანიზაციის სისტემას საშუალება აქვს დასაწყისიდანვე მოსპოს ისინი.

იმ ფაქტით, რომ თეთრი გიორგის ორგანიზაცია შეგუებულია დღევანდელ პირობებთან და მასში არსებობს სამაგალითო და შეუდარებელი ერთსულოვნება —ის წარმოადგენს რეალურ პოლიტიკურ და მებრძოლ ძალას. როგორც ყოველივე რეალური ძალა თეთრი გიორგი ყოველ თავის ნაბიჯს წინდახედულად და სიფრთხილით სდგავს. მაგრამ, როდესაც თეთრი გიორგი სდგავს რაიმე ნაბიჯს, ის დასახულ მიზნისაკენ მიდის ურყევად, სიმტკიცით და კიდევაც აღწევს მას.

საჭიროა ქართულ საზოგადოებას სწამდეს, რომ საქართველოს ცხოვრების მნიშვნელოვან მოქმედების მომენტში, რაც ახლო მომავალში მოსალოდნელია, ყოველივე, რასაც თეთრი გიორგი მოიქმედებს, წინასწარ იქნება აწონილი და გამოანგარიშებული და მისი აქტები გამარჯვებით დაგვირგვინებული.

დისციპლინა. ჩვენ ხშირად გვითქვამს, რომ იქ, სადაც არ არსებობს დისციპლინა საუკეთესო საქმეც კი სისამაგლით თავდება.

ჩვენ დავამყარეთ იერარქიული და სამხედრო დისციპლინა და ეს დისციპლინა ჩვენი გამარჯვების თავდებია.

ჩვენ გვიმტკიცებდა, რომ ქართველი ხალხი და მეტადრე ახალგაზრდობა ურჩია ყოველგვარ დისციპლინის. ჩვენ დავამტკიცეთ წინააღმდეგი. დისციპლინის ურჩია მხოლოდ ლაჩარი და სულმდაბალი. ვაჟკაცნი და სულმაღალნი კი ყოველთვის დისციპლინის მომხრე და დამცველნი არიან. ხოლო, ხელმძღვანელთა მიერ საჭიროა ცოდნა დისციპლინის მოხმარების და დამყარებისა. ის პირნი ვინც სამშობლოს გამწირავ, ვერაგ და მოსისხლე მტრების საფლავებზე სტირიან, ვერც თვითონ დამორჩილდებიან დისციპლინას და ვერც სხვას დაუმორჩილებენ მას. ეს იმიტომ, რომ ქართულ პოლიტიკურ თუ სამხედრო შემოქმედებაში დისციპლინას ნიადაგათ უნდა უმაღლესი ეროვნული შეგნება ჰქონდეს.

თეთრი გიორგის ახალგაზრდობა ამაყობს მით, რომ ის უსიტყვოდ ემორჩილება უფროსთა ბრძანებას და ნიადაგათ ამ დიდი დისციპლინისა მასა აქვს სამშობლოსადმი განუსაზღვრელი, თავგანწირული სიყვარული და ეროვნული იდეა. შეურყეველ მტკიცე რაზმებათ მიდის ის დღეს პოლიტიკურ მოქმედების გზაზე და ხვალ ისეთივე სიმტკიცით და თავგანწირვით, უფროსის ბრძანების მოწოდებით, სამშობლოს დროშის ქვეშ წავა იერიშით საქართველოს მტრებზე.

საერთო ფრონტი. [illegible] საერთო ფრონტის წინააღმდეგნი [illegible] ჩვენ კი [illegible], რომ საერთო ფრონტის წინააღმდეგნი არიან ისინი ვინც ეგრე წოდებულ «საერთო ფრონტში» შევიდნენ. ვინაიდან, სინამდვილეში ის «სოციალისტების ბლოკია» რამიშვილის დიქტატურის ქვეშ.

ჩვენ გვწამს ქართული საერთო ფრონტი შემდეგი სახით: ჯერ ყველა ეროვნული ელემენტები შეერთდნენ ერთ ორგანიზაციათ ან კავშირად და ფერე ეს კავშირი შეჰქმნის საერთო ფრონტს ყველასთან ვინც დამოუკიდებლობის მომხრეა განურჩევლად პარტიისა.

ეს შეჰქმნის ერთნაირ ძალთა გასწყოვილებას სოციალისტებს და ეროვნულ მიმართულებათა შორის. ეს ფრონტი იქნება დამყარებული თანასწორობაზე და იქ აღარ ექნება ადგილი არც რამიშვილის ღალატს (იხილეთ მისი ცნობილი წერილი) არც სოციალისტების ბატონობას.

ჩვენ გვწამს ესეთი საერთო ფრონტი და მხოლოდ მას შეუძლია დადებითი ნაყოფის გამოღება.

დეე ქართულმა საზოგადოებამ განსაჯოს მართალნი ვართ თუ არა.

სოლომონ მაჭავარიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წარსულ და უახლოეს ისტორიიდან.

Les bêtes sont au Bon Dieu;
Mais la bêtise est humaine,
VICTOR HUGO.

ანტიურ რომში ძმა გრაკხუსების დაწყებულმა სამოქალაქო ომმა თავის აპოგეას დემოკრატ მარიუსის და მის მოწინააღმდეგე, კანონიერების მომხრე, კორნელიუს სილას დროს მიაღწია. ჯერ მარიუსმა გაიმარჯვა და იქ დემოკრატიზმი გააბატონა. მისმა დემოკრატიზმმა რომის იმპერია დანგრევამდის მიიყვანა და, კინაღამ რომაელები ბარბაროსების ხელში არ ჩაყარა. მაგრამ სილამ იხსნა რომიც და რომაელნიც. როდესაც სილამ მარიუსის მიერ შექმნილი ანარქია მოსპო და კანონიერება დაამყარა. გამგზავრა იტალიის ადგილობრივ ადმინისტრაციის საკონტროლოთ. ერთ დღეს, ერთ მოზდილ სოფელს ეწვია კამპანიის პროვინციაში. იქ ნახა, რომ მცხოვრებლები საშინელ სიღატაკეში იყვნენ ჩავარდნილი სიმშილისაგან დაავადმყოფებულიყვნენ, ტანშიშველნი დადიოდნენ და სულ მოთმანეთის ჩხუბში ატარებდნენ დროს. მათ გვერდით კი კორნელიუს სილას ყოფილი ჯარის კაცები იმავე მიწაზე შეძლებულად ცხოვრობდნენ. გაოცებულ სილას მოახსენეს: «ამ სოფლის გლეხკაცები კომუნალურად ცხოვრობენ; მეურნეობას კოლექტიურად ეწევიან და კერძო საკუთრებაზე ხელი აქვთ აღებულიო; ეს იდეები მარიუსის დემოკრატიის დროს გავრცელდნენ იტალიაში და რამდენიმე სოფელი შეეცადა მათ განხორციელებას, მაგრამ ყველა მათგანი ამ სოფლის დღეში ჩავარდაო».

საკვირველია უფალო საქმენი შენნი! ეს მარქსისტები მარქსზე ადრე როგორ გაჩნდნენ?!! მაგრამ ალგად სისულელეების ქარები, ხანდახან, თვით ანტიურ ბრძნულ ხანაშიც დაჰქროდნენ ხოლმე. ქართული თქმულებისა არ იყოს: «უცოდველი არავინ არისო», ალგად თვით ბრწყინვალე ეპოქებიც კი ხანდისხან წაიბორძიკებდნენ ხოლმე და მაშინ მისი უსუსტესი და მეორე გონებიანი მცხოვრები შეცდომებში ცვივდებოდნენ. მართალი იყო მაკიაველი როდესაც ამბობდა: «ცხოვრებას მუდამ დააქვს თავის უბეში კარგიც და ავიცო».

ასე თუ ისე, სილა მეტად გასწყრა და სოფლელებს უთხრა: «თქვე სულელებო, კომუნალურად რომ სცხოვრობთ და მუშაობთ ჭიანჭველები ხომ არა ხართ; ბრძანებას გაძლევთ დღეიდან იცხოვროთ ისე, როგორც ადამიანთ საზოგადოებას შეჰფერისო» და დასასჯელად მამასახლისიდაც დაწყებული ყველანა გააწკეპლინა. გაწკეპლილი სოფლელები დიდი მადლიერნი დარჩნენ, რადგან ნორმალურ ცხოვრებასთან დაბრუნებით გაჭირვებიდან გამოვიდნენ.

ამის შემდეგ გავიდა სრული ორი ათასი წელიწადი. ერთ მშვენიერ დღეს პარიზის ახლოს მდებარე სოფელ ლოვილს (Leuville) მიადგა ორმოციოდე —როგორც თვითონ ამბობდნენ— «კოლექტიურად მოსიარულე» ადამიანი. მათ თვალებში თან რაღაც შიშის ზარი და თან ფანატიკური გამომეტყველება მოსჩანდა. ვინ იყვნენ ეს «კოლექტიურად მოსიარულე» ადამიანები? უცნაურია მათი ბედი და ისტორია. ისინი ერთ დიდ სოციალისტურ სექტის წარმომადგენლები იყვნენ. ამ სექტანტებს უცნაურ გარემოებათა წყალობით აზიაში, სამი წლის განმავლობაში ერთი ერის ბედი ჰბარებიათ. მათ მოსურვებიათ ამ ერის და მის მშვენიერ ქვეყნის სოციალისტურად მოწყობა, რათა მსოფლიოსათვის ეჩვენებინათ

სოციალისტურ წყობილების ნიმუში. ერთი სიტყვით კაცოგრიოგის განცვიფრება განუზრახიათ. თურმე მათი პლანები ქაღალდზე ჩინებულად გამოსულა, მაგრამ ცხოვრებაში კი დიდი კატასტროფა განუცდია. საუბედუროთ ამ კატასტროფის მსხვერპლი ის გედკრული ერი გამხდარა და ჩრდილოეთიდან მოსულ მტერს, კიდევ უფრო უკიდურეს სექტანტს, ჩავარდნია ხელში.

ეხლა ამ «კოლექტიურად მოსიარულე» ხალხს გადეწყვიტა ლოვილის ერთ პატარა მამულში თავის იდეების განხორციელების ხელ-ახლად შეცდა, რათა აქ მაინც დაემტკიცებინათ კაცოგრიობისათვის, რომ სოციალიზმის არსებობა მაინც შესაძლებელიაო. გალილეისამებრ «მაინც ბრუნავსო!» ალბად მკითხველი იფიქრებს: «სადა ჰქონდათ ამ ადამიანებს თავები, რომ ერთხელ და საბოლოოთ დამარცხებულ იდეის განხორციელებას ხელ-ახლად ცდილობდნენო». თავები? თავები თქვენ ზართ ჩემო ბატონო, სწორეთ მოგახსენოთ, მის შემდეგ რაც ზემოთ მოყვანილი საბრალონი საშარცხვინოთ დაღუპეს, ზნეობრივად მოკვდილი ჰქონდათ, მაგრამ ფიზიკურად კი ისევ ებათ. მათზე მინდობილი ქვეყანა მტრისათვის მიეტოვებინათ და თვითონ კი გამოქცევით თავები გადუოჩენიათ. მაგრამ ცარიელ თავში რა ყაია, თუ კაცი ფანტასტიურ ფსიხოზით არის გაჟღენთილი? მერე ამ უცხო ქვეყანაში ნილას მსგავსი პატრონიც არავინ გამოუჩნდათ, რომ ერთი კარგად გამწკეპლაო! ისე უპატრონოთ დადიოდნენ საწყლები! თუმცა ამბობენ, მეორე ინტერნაციონალი ჰპატრონობდაო, მაგრამ მეორე ინტერნაციონალი თვითონ გასაწკეპლია და სხვას რას უშველიდა. ეს ისე გამოვიდოდა: ბრმა, რომ ბრმას გზას უჩვენებდეს.

ჰო და, ამ ადამიანებმა დაიწყეს სოფელ ლოვილში მამულის კოლექტიურად დამუშავება და ჯიმიან ღორების მოშენება. «აქაც», როგორც «იქ» ქაღალდზე ყოველივე საუცხოოდ იყო: ყველა მუშაობდა, ერთგულობდა, სოლიდარობდნენ. ერთი სიტყვით — თხა და მგელი ერთად სძოვდა». მეპობაპალიც იმდენი იყო, რომ საერთაშორისო პროლეტარიატსაც უხვად ეხმარებოდნენ ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიებში, აგიტაციებში, საერთოდ კლასთა ბრძოლის წარმოებაში.

დიახ, ეს ყოველივე პროექტებში და ქაღალდებზე, მაგრამ ცხოვრებაში, სინამდვილეში საქმე სულ სხვანაირად დატრიალდა. ეჰ, ცხოვრებავ! რა დაუნდობელი ხარ მათდამი ვინც შენს სინამდვილეს ანგარიშს არ უწევს!!

კოლექტივის წევრები შეუდგნენ მუშაობას, მაგრამ განყენებული იდეა ადამიანის ბუნებას ვერ მოერია. ნელ ნელა ყველა წევრებს შეეპარა ადამიანის ბუნების ჭია; ჭია იჭვის, ჭია შურის და მეტადრე ჭია ადამიანის პიროვნების სამართლიან მისწრაფების, რომლის იდეალი ზია ჩასჩურჩულებდა: «შენი ნიჭის და უნარის დაგვარად უნდა იმოქმედო თავისუფლად შენს საკუთარ მიწაზე; თუ კი მკვდარსა აქვს საკუთრების უფლება სამ ადლიან მიწაზე, რატომ ცოცხალს არ უნდა ჰქონდესო?»

მალე ერთი-ერთმანეთს ზელისა და პირში შესცქეროდნენ: «ის ჩემზე ნაკლებსა მუშაობს და მეტსა სჭამსო; ის სუქდება, მუცელი ლამაზათ ემრგვალდება და მე კი სულ ვხდებიო; ამ ღორებს მე უვლი და ჩემგან გასუქებული ღორის საუკეთესო ნაჭრები სხვამ შეჭამოსო» და სხვა და სხვა... შრომას თავი მიანებეს, მოსავალი დალპა; ღორები ისე გახდნენ, რომ აჩრდილებსა ჰგავდნენ. საბრალოებს ღრუტუნის თავიც კი აღარა ჰქონდათ, ეულ საკლავად ვნესოდნენ და მათ ნაღვლიან კვნესაში მოისმოდა მწარე საყვედური კოლექტივ პატრონებისადმი: «ჩვენი რა ბრალი და გადასახადია თქვენ რომ სოციალისტები ზართო»?

შური და იჭვი გაღვივდა, გადაიქცა მტრობად და ბრძოლათ. გამოაშკარავდა, რომ საზოგადოებაში კლასთა გარეშეც ჰქონიათ ადგილი ბრძოლებს. საქმე ისე გამწვავდა, რომ ერთ ღრუბლიან, ქინქლიან, მემცხვარეს ძაღლივით აღრინებულ ლოვილის დილას კოლექტივის წევრები ნიჩბებით, ცელებით, თოხებით და წარმოიდგინეთ მაუზერებითაც კი (თურმე გამოქცევის დროს ზოგს მაუზერი თან წამოუღია) დაერივნენ ერთმანეთს. კინაღამ სისხლი არ დაიღვარა. ურთი-ერთის გინება და შეურაცხყოფა ხომ იმდენი იყო, რომ აქამდის უნძრაზათ არიან.

კოლექტიური ცხოვრება ვეღარ მოხერხდა, რადგან თუმცა იდეურათ გზაკვალ დაუგნეულნი იყვნენ, მაინც ჭიანჭველებზე გონიერნი გამოდგნენ. მიწები დაიყვეს და მუშაობა ადამიანურად, ვერძო საკუთრების ნიადაგზე დაიწყეს, რითაც მათმა მეურნეობამ დიდათ მოიგო.

ხოლო, როგორც ამბობენ, გაყოფის დროს ბობოლებმა და დიდებულებმა საუკეთესო მიწები და ოთახები მიითვისეს, წვრილ-ფეხნი და მდაბალნი კი ნელ და ნოტიო ოთახებში მოათავსეს სადაც საწყლები, სიცივისაგან იყინებიან და ქარებით ავადმყოფობენ. ერთი სიტყვით კომუნიზმი ფეოდალობით დაუმთავრდათ.» ჰე, სოფელო რაშიგან ხარ, რას გვაგრუნებ რა ზნე გჭირსა»...?

აი, ბატონებო, ესე დაგვირგვინდნენ «საქმენი მათი საარაკენი»... პირველი, საუბედუროდ, გათავდა ტრაღიკულად იმ ერისათვის, რომლის ბედი მათ სამ წელიწადს ებარათ და მეორე კი კომიკურათ, რამაც ზემოთ აღწერილი სექტანტები, თანამედროვე და შთამომავლობის თვალში საუკუნოთ გაამასხარავა.

ამ ამბებს ტრადიციულად «ჭირი იქა ლხინი აქა»თი დავასრულებდი, რომ ზღაპარი იყვეს, მაგრამ ორთავე ნამდვილი ამბავია: ერთი მოხდა 79 წელს ქრისტეს წინ, კორნელიუს სილას დიქტატოროვის დროს, კამპანიის სოფელში და მეორე 1922 წელს ქრისტეს შემდეგ ნ. რამიშვილის დიქტატურის ქვეშ პარიზთან ახლოს, სოფელ ლოვილში.

**ტარიელან.**

## უცხოეთიდან წერილი საქართველოს.

ჩემო ტურფავ სანეტარო
მუდამ ჟამს საგონებელო
ძვირფასზედ უძვირფასესო
საყვარელო საქართველო!

შენთან ვიყავ არ მესმოდა
შენი სულის სიმაღლეო,
როს მოგცილდი გამოგშორდი
სხვებს გავეცან შენებრ მეო,

მაგრამ ვერვინ ვერა ვნახე
შენებრ სათნო სანდომეო,
ამის შემდეგ შენ ვაღმერთებ
შენ ხარ ედემთ გაღის ზეო.

სად არ ვიყავ, ვინ არ ვნახე,
ვინ არ ვცადე შენებრ მეო,
მაგრამ არვინ არ მიმიღო
შენებრ ტურფად, ჩემო მზეო.

მაპატიეე, არ მესმოდა
შენი სულის სიმაღლეო;
ვერა ვგრძნობდი ბედნიერებს
თუ შენ იყავ ჩემი მზეო.

დღეის იქით, წმინდავ, გზედავ
სარჩევლო ყველაზეო
ბედიერი შენ მექნები
სალოცავად ყოველ დღეო.

ოღონდა გთხოვ არ დაგვინდო
მოგვაზვედრო ყოველ დღეო,
თან ჩაგვეხო ჩაგვაგონო:
სამშობლო ვარ საქართველო.

**გიბეგი.**

## «ი-ი» ს.

ათრთოლებული ხელით მიგაქვს სანთელი ქმნილი,
ღვთიშობლის ხატსა აჰგორსა ჰყოფ პირჯვარს რაზავ
ქრისტეს აღდგომას მეჰაალადეგ გაბრწყინებულს
და სიწმინდესა სულში სათნოთ ამოსახავ.

მოყიდულ ხალხის ზღვაში შედის შენი ხმა ...
ღვთიშობელია შენი შემწე, შენი მფარველი;
სანთელი ქმნილი — შენი აზრის ნაზი ციმციმი,
ქრისტეს აღდგომა! რწმენა შენი წინ მიმავალი!..

ქრისტე აღსდგა! გოლგოთისაკენ ჯვრით რომ ვიდოდა,
გამცემელ ხალხის ურდო იყო მისი ამალა.
გწამდეს, წამებით არ მომკვდარა ჭეშმარიტება
ქრისტე აღზდა! მოგილოცავ, იგი ამაღლდა!

**ი-----ლი**

## პირველი გაკვეთილი კავკასიის ბრძოლებიდან.

(ზოგადი მ. მოხილვა.)

ბ-ნმა ლეო კერესელიძემ ერთ თავის მოხსენებაში, ალექსანდრე ბატონიშვილს «მთელი საუკუნის ბრძოლის სულისკვეთების მეფე» უწოდა.

ალექსანდრე ბატონიშვილმა პირველთა შორის იგრძნო იმ ნიაღვრის სიბინძურე, რომელიც ჩვენს თავისუფლებას იტაცებდა; მას მხნელათ არა მარტო ქართველები ვსთვლიდით, არამედ ჩვენი დაპყრობილი მეზობლებიც. ეს სჩანს ყაბარდოელების წერილიდან, რომელშიაც მას მეფლას სთხოვენ და მის შესაფერ აღწერას იძლევიან.

«სახე ბრწყინვალე, თავაზიანო, საუცხოო გულუხვო, მამაცო და ჩვენებური გონება მახვილობით ადგილზე მყარათ მდგომო, ხანო ალექსანდრე!.»

«ვინც თავის ერის ისტორიასთან კავშირს სწყვეტს, ის ჰაერში ჰკიდია».

ხავსი უნდა გადავამროთ ჩვენ წინაპრებისგან ათასჯერ მოფიქრებულ და სისხლში ნაწრთობ გამოცდილებებს და ახალ ცხოვრებისათვის გამოვიყენოთ. უპირველესად ყოვლისა ალექსანდრე ბატონიშვილის თავგანწირული ცხოვრება და ბრძოლები არის სამაგალითო, რადგან ჩვენ იმ მტერთა გვაქვს საქმე, რომლის წინააღმდეგაც მან პირველმა აიღო ხმალი.

ალექსანდრე ბატონიშვილის მებრძოლ სულს, მის რწმენას, რომ «სამშობლო თავისუფალი უნდა იყვეს» ნათლად გამოხატავს მისი წერილი, მეუხრანის მელობელზე მინაწერი:

«თქვენი ოჯახებიც არ დაღუპოთ და თქვენი ნამსახურევი და სისხლის დაღვრაც უქმად არ ჩაატაროთ. ესენი ლეკები ხომ არ არიან ხუთი ათასი კაცი არ არის და ათი ათასი და ოცი ათასი. ყანდარი და ყანდარს იქით მთელი ერი მანდ მოდის. ღმერთმა ხომ იცის ან უნდა მანდ ამოწყდეთ და ან მანდედან რუსები გარეკოთ.»

აქედან ნათელია, რომ დაბრკოლებათა სიდიდე მხოლოდ აკაჟებს ჭეშმარიტ თავისუფლების მებრძოლს. ამ პატარა წერილიდან აშკარად სჩანს, თუ როგორ განიცდის მთელი თავის არსებით ბატონიშვილი ერის თავისუფლების აუცილებლობას. სიმრავლე მტრისა, სიმძიმე პირობების უფრო ამაგრებს მას თავის გადაწყვეტილებაში. კიდევ უფრო მკვეთრია მისი მოწოდება ქართველი ხალხის მიმართ (მიწერილი 1809 წ. 31 აგვისტოს)

საყვარლისა მეფისა და სახსოვარისა მამისა თქვენისა მეფისა ირაკლის მე ალექსანდრე, მოხუცებულთა ვითარცა მამასა და ჭაბუკსა ვითარცა ძმასა, ერთობით ყოველთა მოგიწერთ სიყვარულსა მშვიდობასა და მოკითხვასა.

არა მოვალ თქვენზედა ძალითა და მახვილითა, არცა შურისგებითა უკეთუ გაქვი წინააღმდეგობა რაიმე დიდი ანუ მცირე მაღლისა ოჯახისა ჩემისა, არამედ მოვალ ძალისა ღვთისითა მტერსა ზედა და თქვენ ყოველთადმი მშვიდობასა და სიყვარულითა.

ვითარცა ძმათა ამბორს გიყოფთ და ვითარცა მამათა პატივს გცემთ. ვიცნოვ გვართა თქვენთა, ვიცი სისხლამდე თავდადებული ნამსახურევი მათი; მახსოვს პატივის ცემა თქვენი და სიყვარულისა თქვენისათვის არა შევიწყალებ სიცოცხლესა ჩემსა, ვიდრემდის გამოგახსნათ თქვენ უფლებისათა უცხოთა, რომელთა არ იციან პატივისცემა თქვენი, ვერცა იცნოვენ მამა პაპათა თქვენთა, რომელთა ხელთა შინა არა აქვს დასასრული მწუხარებათ თქვენთა. აწ მოიხსენებთ თქვენც სიყვარული მამა-პაპათა ჩემთა მეფეთა პატრონთა და მეპკვიდრეთა თქვენთა და კვლავ მოიხსენეთ ტყვეობა მამისა და პაპისა ჩემისა და ტყვეთ მიცემა მამიდისა ჩემისა, გამოხსნისა ჩემისა ნადირ აგშარისაგან. და კვალად სისხლი წამებულისა ქეთევან დედოფლისა: გვბიის ჩემისა აბაზ პირველისაგან და აწ ესოდენ დაუძინებელი თქვენთვის შრომა ჩემი, რომელსა მომაქვს სამთა ძლიერთა და დიდთა ხელმწიფეთა ძალი და ზაზინა, სრულიად ირანისა ოსმალთა და ინგლისისა გამოხსნათ ხელთაგან თქვენთა უცხოთა.

ესე არს წუთი ბედნიერებისა თქვენისა, რათამცა განაახლოთ ერთგულობა მამა პაპათა და მიიღოთ პატივი შესაგამი დიდთა და მცირეთა.

შეიწყალოთ სახლეულნი საყმონი და საცხოვრებელნი თქვენნი და მშვიდოგით დაცვისა თქვენისათვის აისწრაფით და ერთგულებით საზღვარსა შინა შემხვდი საქართველოსა, სადა იგი გესმათ ხმა მოსვლისა ჩემისა და უკეთუ არ ინებეთ უვალო ვიყო ყოვლისა გამწარებისა თქვენისაგან, რომელიცა არა მნებავს მე, ვინაიდან სიყვარულისა თქვენისათვის არს ნიადაგ განუსვენებელი შრომა ჩემი.» (აზის ბეჭედი მეფის ძის ალექსანდრესი)

ასე ნიადაგ განუსვენებლად იგრძოდა მამაცი მხედარი საქართველოს სიყვარულისათვის და მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე თავისი გონება მახვილობით სცდილობდა დაეხსნა საქართველო რუსთა კლანჭებისაგან.

«რომელთა არა იციან პატივისცემა თქვენი, ვერცა იცნობენ მამა-პაპათა თქვენთა, რომელთა ხელთა შინა არა აქვს დასასრული მწუხარებათა თქვენთა-ო»

ეს ამბავი, რომელსაც ქვევით გვინდა შევეხოთ, იყო პირველი ცდა და გაკვეთილი კავკასიის ამხედრების რუსების წინააღმდეგ, რომელსაც ალექსანდრე ბატონიშვილი ხელმძღვანელობდა.

თუ რა სამიმარ პირობებში იყო მაშინ რუსეთის მდგომარეობა კავკასიაში და რა მცირე იყო რუსულათ განწყობილი საზოგადოება კავკასიაში, ნათლად სჩანს მაშინდელ რუსეთის წარმომადგენლის კავალენსკის მოხსენებიდან, (რომელიც მოგვყავს შემოკლებით.)

«ოსმალეთი—— სუსტია და არაფრის თავი არა აქვს. ახალციხე—— რუსეთის მოწინააღმდეგე მეგოგარი ქართველების.

იმერეთი.—მეფედ სოლომონ მეორე, ჭკვიანი, შვილის შვილი ირაკლისა. ვფიქრობ, რომ აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის კავშირი არასოდეს არ ყოფილა ისე ძლიერი, როგორც დღეს.

სამეგრელო.—ძლიერია, ალბად შეუერთდება ბატონიშვილ ალექსანდრეს, რადგან ჩემი წერილი და გაცემი უკან დააბრუნა.

ყარსი. ფაშა ნაგმანი ძევს ახალციხის და გაიაზეთის შორის, საზღვარზედ ჰყავს უფროსი ალი-ბეგი. კაცი ენერგიული, ხასიათით მაგარი და გაუმაძღარი. ამან მისცა პირველი თავშესაფარი ალექსანდრეს საქართველოდგან გაქცევის დროს, თუმცა მას ჰქონდა ჩემგან წერილი.

სპარსეთი. აქამდე სპარსეთის გადამკიდე საქართველომ ამდენი ხანი ვერ მოახერხა გამაგრება დაღესტანში, ადერბეიჯანში, თავრიზში და ხოის პროვინციებში, ახლა ალექსანდრეს უდგება.»

ეს კავალენსკის მოხსენება ფრიად საინტერესოა. აქედან ირკვევა: 1) რომ კავკასიელთ და მის მეზობლებს თითქმის არავის არა სურს რუსეთის ბატონობა. 2) რომ რუსეთი არავითარ საშუალებას არ ზოგავს თავის გამარჯვებისათვის, აგზავნის მოსყიდვით წერილებს ალექსანდრეს მოკავშირეებთან და სხვა. (ჩვენ შემდეგ გავარკვევთ რომ რუსეთის მთავარი გამარჯვების მიზეზი იყო სწორედ ამდაგვარი ხერხები. გადაკიდება ერთი—მეორეზე პატარა ერების, მოსყიდვა, მოწამვლა, ღალატი მოტყუება, ყალბი წერილების წერა და სხვა მრავალი დაბალი ზარისხის საშუალებანი. 3) რომ კავკასიაში ორი მეტოქე სპარსეთი და საქართველო რუსების ზაშიშროებამ დააახლოვა.

ალექსანდრეს მხარეზეა აგრეთვე ხალხ მფლობელი ჯაფარ-ყული ხანი, ხანი განჯის, ყარაგაღის (შუშა), ხანი შექინსკი (ნუხა), შირვანი (შემახა-ბაქო) და დაღესტნის განთქმული მელიქ-აბოვი ათასი კაცით.

შიგნით ალექსანდრეს მხარეზეა, დედოფალი დარეჯანი (რომელიც რუსებმა დაატყვევეს ტფილისში და ცდილობენ ყოველის მხრივ მოტყუებით მის გადაბირებას,

რადგან ირაკლის ქვრივს დიდი გავლენა ჰქონდა)

მისი შვილები იულონი, ვახტანგი და ფარნაოზი მოადგნენ ტფილისს ავჭალიდან სამი ათასი კაცით, ითხოვენ დედოფალს რუსებისაგან და თანაც უცდიან ალექსანდრეს, რომელიც გაიქცა სპარსეთში, აგროვებს მოკავშირეებს და ამირ-მირზასთან ერთად მოდის ტფილისზე.

ამის შესახებ მოგვყავს რუსის გენერლების მიწერ მოწერა. გენ. ლაზარევის მოხსენება გენ. კნორინგთან 1800 წლს 6 აგვისტოს.

«ალექსანდრეს წერილები დედა მისთან და ქართველებთან მონაწერი დავიჭირეთ, ამ თვის თხუთმეტს ჩანდი ვიქნები-ო იწერება. გავეცი განკარგულება ყველა მეთაური ქართველები დაატუსაღონ, სანამ გაიგებენ რამეს. გამოვგზავნეთ ერთი პოლკი კიდევ და თანაც ხმა გაავრცელეთ — «დიდი ჯარი მოდის-ო».

როგორც ეტყობა ალექსანდრე ვეღარ მოსულა ტფილისზე 15 აგვისტოს და მეორე მოხსენებიდან იმავე გენერლებს შორის, ვკითხულობთ:

«ალექსანდრეს წერილი დავიჭირეთ ამა თვის 24-ს, დარეჯანზე, ვახტანგზე და მირიანზე, რომ მალე გაგანთავისუფლებთ ამ შეურაცხყოფიდან-ო. აღნიშნულია აგრეთვე იქვე: «მივიღეთ უარი ბაბა-ხანიდან ალექსანდრე ბატონიშვილის მოტყუებასა და გაცემაზედ

რა მოხდა? რამ დააგვიანა ალექსანდრე? აი მიზეზი: ერევნის ხანი დარჩა რუსეთის მხარეზე. მოადგა მას ალექსანდრე სპარსეთის ჯარით, მაგრამ ერევნის ხანმა გაუწია მათ წინააღმდეგობა. მისცა სპარსელებს ფული და ისედაც გაუბედავათ წამოსული სპარსეთი (მაშინ სუსტდებოდა სპარსეთი) ამით დაკმაყოფილდა და შესდგა. დაღალატებული ალექსანდრე იძულებული შეიქმნა მიეტოვებინა ისინი და მცირე რაზმით გადმოსულიყო ადერბეიჯანზე, სადაც მას აღფრთოვანებული ხვდებოდნენ და უნდა მოსულიყო ომარ-ხანის ბანაკში.

აგვისტოს 15-ს პირობისამებრ ვეღარ მოდის ტფილისთან და ვეღარ უერთდება ძმებს ტფილისის ახლოს. გადის აგვისტო, სექტემბერი და მხოლოდ ოქტომბერში აღწევს ალექსანდრე ომარ-ხანის ბანაკში მისვლას.

ამ ხნის განმავლობაში რუსებს გიორგი მე-12-სთან ერთად არ ეძინათ. დანარჩენი ბატონიშვილთა მცირე რაზმები ცალ-ცალკე გაფანტეს და გაავრცელეს ხმა, რომ ბატონიშვილი ალექსანდრე მოდის ქვეყნის ასაკლებად თქვენ მტრებთან ურჯულოებთან ერთად.

ეს ადგილი საპროვოკაციო იყო. რადგან ლეკები ომარ-ხანის მეთაურობით რუსეთის შემოსვლის შემდეგაც ხშირად ესხმოდნენ საქართველოს და ხარკსაც ახდევინებდნენ. რუსები კი არავითარ ზომებს ღებულობდნენ ამის საწინააღმდეგოთ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მათ კიდევაც უხაროდათ ეს. (ვრცელდებოდა წვრილი მოღალატური აზრები, «რუსეთი დიდია», «მას ვინ მოერევა», «ძლიერია ჯარით და ფულით», ლეკს და სპარსელს, ქრისტიანი გვირჩევნია და სხვა.)

ბატონიშვილი ალექსანდრე არწმუნებს ყველას, რომ მას ამისთვის არ მოჰყავს ლეკები. აი, რა გულწრფელობითაა განმსჭვალული მისი წერილი გოდებელ მიტროპოლიტის მიმართ 1800 წ. 24 ოქტომბერს. მოწერილია ომარ-ხანის ბანაკიდან. (თარგმანი რუსულიდან).

«ვფიცავ ღმერთს და საფლავს წმიდა ნინოს, რომ მოვდივარ არა იმიტომ, რომ შენი ადგილები ავიკლო, პირიქით მერწმუნე, რომ ეს აზრათაც არ მქონია. ჩვენ ხუთი ძმანი ერთხულოვნათ მზადა ვართ თქვენი კეთილდღეობისათვის დავაქციოთ სისხლი ჩვენი, ისე, როგორც ცხონებული მეფე ირაკლი გიცავდა და განაგებდა შენ. შენ ხარ პირი სამღვდელო და შენი საქმეა დაცვა სამწყსოსი და არ შემიშალო ხელი ჩემს საქმეში და ჩემგანაც არ მიიღებ არავითარ ზიანს».

მაგრამ ალექსანდრე ბატონიშვილის მოქმედების ნამდვილი აზრი ვერ იქნა გაგებული; რომ ყოველივე მას უნდოდა საქართველოს განთავისუფლებისათვის ის ასე უყურებდა საკითხს: «ესენი ლეკები ხომ არ არიან ხუთი ათასი კაცი, ამიტომ ჯერ რუსები უნდა მოვიშოროთ» (მუხრანელებთან წერილში.)

ლეკების მიერ შელახულმა ქართველების თავმოყვარეობამ, რუსების ბინძურმა ხრიკებმა და გიორგი მე-12 ვიწრო მხედველობამ სძლია საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის შეგნებას და ომარ-ხანს სასტიკად შეებრძოლა და დაამარცხა ტფილისიდგან რამოდენიმე კილომეტრის მანძილზე 1800 წ. ნოემბრის შუა რიცხვებში. ქართველები ლეკებს ლომებივით ებრძოდნენ, სწერენ რუსები.

როგორც ალექსანდრე ბატონიშვილის მხლებლის თურმანიძის დაკითხვიდან სჩანს, თითონ ის წინააღმდეგი ყოფილა ამ პირობებში ბრძოლის მიცემის, მაგრამ ლეკების მეთაურებმა არ დაუჯერეს.

ამით აღსრულდა! პირველი გაკვეთილი სამწუხაროდ გათავდა. საერთო გაუგებრობამ და რუსის მოსყიდვითი ხერხმა აჯობა.

«თუ არ გჯერათ, რომ ქართველი ხალხი ჩემთან არის, თქვენ გადექით გვერდზე და მე ხუთასი კაცით დავივლი საქართველოს; მაშინ ნახავთ თუ ერთი თოფი მაინც გავარდესო.» ამ წერილით უპასუხა ბატონიშვილმა ალექსანდრემ გენერალ ლაზარევს 1800 წ. 2 დეკემბერს.

ეს სიმართლე კარგად იცოდა რუსოებმა და მათმა ამყოლებმა, მაგრამ მათ განა ბატონიშვილის სიმართლე აინტერესებდათ?..

დღეს წარსული ბრძოლის გამოცდილებიდან გამოგვყავს ზოგადი დასკვნა:

## აღდგომის ლოცვაზე.

კვრა დაინთო ნამზევი
რწმენის თვალების უბეში,
ღმერთია ჩვენი დამზრდელი
მომნიჭებელი ნუგეშის.

ქართველი რომ ლამაზია
ქვეყნის თვალში მოზიბლული,
მჯერა, ივერს მთლათ აზია
ენაცვლება მოღუნული.

უკვდავია შენი ჯილდო
ნაწამებო საქართველო,
უბედობით კვლავ დასჯილო;
ახალ ბრძოლის სამლოცველო.

იდიდე ქართვლის მეფენო!
შარავანდედით მოსილთა,
თქვენს ფერხთით უნდა ვეფინოთ
ნააღდგომევი ლოცვითა.

ბ. ბ

1) რომელ ქართველმაც რუსებთან კავშირი გააბა ერის დაცვის თუ პირადი სარგებლობის გულისათვის, ყველა მოტყუვდა, რადგან რუსებს აინტერესებდათ მხოლოდ მათი გამოყენება. (მაგ. გიორგი მე-12-ის ტახტის ბედი)

2) კავკასიის ერთა შინაური დავა, არ უნდა გადასცილდეს საერთო მტრის წინააღმდეგ შეთანხმებულ ბრძოლის შეგნებას. ამ დავაში არ უნდა ისარგებლონ რუსებმა. (ეს პირველი გაკვეთილი სწორედ ამან დაამარცხა)

3) ჩვენს წინაპრებს შეეძლოთ შეკავშირებული ბრძოლა, რადგან მიღებულ აღზრდის გამო ჰქონდათ გამბედაობა და უსაზღვრო თავდადება, წმინდა სამშობლოს სიყვარული და სულიერი სიფაქიზე; ამიტომ ჰყავდათ მათ გმირები და სასახელოდ იცავდნენ ერს. დღეს გმირები ვეღარ გაჩნდებიან, რადგან რაიმე პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა ერისათვის შეუძლებელია, თუ ის თეორიულათ ნათლად არ არის დასაბუთებული და საზოგადოებაში გავრცელებული. ჩვენ საზოგადოებაში კი სწორეთ ისეთი თეორიებია გავრცელებული, რომელიც ერსა შლის, ძალებს რიგზე ვერ აგროვებს და ბატონიშვილი ალექსანდრეს ტრაგედიას გვამეორებინებს.

ალექსანდრე ბატონიშვილის მეგობრები თავისუფლების ბრძოლისათვის გაუგებარი დარჩნენ ქართველი ხალხისათვის, იყვნენ თუ არა ისინი მეგობრები? ზემოთ ჩამოთვლილ დასკვნებიდან გამომდინარეობს თეთრი გიორგის ამოცანები და, რომელიც მან უნდა გადასჭრას.

სამაგალითოდ მოგვყავს კიდევ ერთი წერილი ბატონიშვილის დროის მებრძოლების, როგორც ნიმუში უზადო თავდადებისა და სამშობლოს სიყვარულის. (ეს წერილი დაწერილი ფარნაოზ ბატონიშვილის რუსებთან ტყვეთ ჩავარდნის დროს, სავსე სევდით და აღშფოთებით.) გაბაშის და გედევანის წერილი მირმანოზ ერისთავისადმი:

«მებოძა თქვენ მიერ წერილი, რომელმაც რომ გული და გონება ჩვენი განგმირა და, იფიქრე ჩემის ხელმწიფის მეფის ძის დაჭერის ხმა, რა გვარი საგავთოს ხმის მომწვავი არის და ვაი სასმენელთა ჩვენთა და მწყალობლობითი მეგობრობა გვიბრძანათ. შენ ნუ მომიკვდები თუ ფარნაოზ ბატონიშვილი არა მყავს ჩალათ მჩანს ყოველი ქვეყანა, მისთვისვე შემიწირნია. თუ ქრისტიანი ვართ, ვერც ხმალი, ვერც ცეცხლი, ვერც წყალი, ვერც სხვა რამ განმაშორებს და განმდრეკს მის სიყვარულზე და თუ იმის გულისათვის ხმალს არ ვიქნევ, რა სიყვარული არის. და თუ მის ერთგულობაზე დაგვხოცეს ვინმე ასე მგონია ღვთის მოწყალებით სასუფეველი მზად არის ჩვენთვის. გებრძანათ ამის უარესად თავს ნუ გააუბედურებთო და; ფუ ჩვენ კაცობასა ფარნაოზ მეფე გაუბედურდა ჩვენთვის სიკვდილი სანატრელ არ იყოს. ასე მოხსენდეს ჩვენ მაღალ ბრწყინვალებას — ჩვენ ამ ზეობაში ერთი ამათთანა მოძმე გახლავართ და გაჟიცული გახლავართ.

თუ გარიგება იქნება ჩვენ და ეს ზეობა ერთად გაგირიგდებით. ვიცი მწყალობ მაგრამ თუ მესვრიან მეც ვესვრი ესე არს ჩვენი საქმე. როკამდის, კუდროძის, ქურთაულამდის და ჩერქეზამდის გზა გვაქვს სავალი არ გვეშინიან ჯარის მოსვლისა აქ რომ მოვა ზევით წავალთ, მაგრამ თქვენ რომ ადრით საქმე მოგფონებია, ვითა მას ერთსა ხელმწიფესა ჯარი იგავათ — მაგრამ რა ჰქნა ჩემო ხელმწიფევ თუ ფარნაოზ დაიჭირეს ალექსანდრე ლევან ხომ ისევ არიან და თუ ფარნაოზ ამ განსაცდელს შეემთხვა ჩვენთვის სიკვდილი სანატრელია.

ჩვენ მოგახსენებთ პირ აქეთ გადმოხტოთ სულ აგრე არ იქნება შენ ნუ მომიკვდები. ვითხოვ არ უგულოს გვყოთ და ბატონიშვილის ნაწერი ბარათი გვეგომოს თავის პატარა ბეჭდით დაბეჭდილი: წამოდითო ქალაქს ვიმყოფებით და ჩვენც ყელზედ ხმალს დავიკიდებთ და ისე შენ გეახლებით, თუნდა შენ დაგეხოცე თუნდა ციციანოვმა ნება თქვენი აღსრულდეს და ამ ზეობასაც შემოგიერთებთ როგორც თქვენი ნება არის. ხაცა ათასი სული კაცი კაცთან მოკვდება იქ რომ კაცი განდრკეს წაწყდება ჩვენი მოხსენება ეს არის და სხვას ჩვენს სიტყვას ეს უფროს უფროსი კაცნი მოგახსენებენ».

პრ. ლოთხმეზური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რას ითხოვს ერი.

მეცხრამეტე საუკუნემ პოლიტიკურად საქართველოსათვის სრულიად უნაყოფოდ განვლო. პოლიტიკური ცხოვრება შეწყდა დამოუკიდებლობის მოსპობასთან ერთად, ამან დასცა ზნეობრივი შეგნება ამაყი ხალხის და დაავიწყებას მისცა ის დიდება ჩვენი ქვეყნის, რომელსაც შარავანდედით წინ უძღოდა მეფეთა საქართველო.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხდება ჩამოქვეითება იმდენად, რომ ამ ხანაში მთლად წაშალა ქართველთა დიდება და მხოლოდ დაცინვის ფერებში გამოიხატა სოციალური ცხოვრება.

ეს საუკუნეზე მეტია, რაც მნიშვნელოვანი გარდაქმნა არ მომხდარა საქართველოს ცხოვრებაში. წინააღმდეგ, დაეცა და დაკნინდა მისი კულტურის სიდიადე რუსების ბატონობის ხანაში.

რატომ მოხდა ასე? იმიტომ, რომ ამ ხნის განმავლობაში მოსპობილი და შეცვლილი იქმნა ურყევი ძალა ეროვნული მთლიანობის, რომელიც ერის სახესა ჰქმნის და მის სუვერენობას იცავს.

მეფეების დინასტიის მოსპობასთან ერთად ქართველმა ერმაც დაჰკარგა უმაღლესი გრძნობა სამშობლოს მოვალეობისა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში გამეფდა უიმედობა და ღრმა იჭვი, რომელიც გულს უღრღნის ქართველს. განვლილი უბედურება, აწმყოს საშინელი მდგომარეობა და მრავალი სხვა გამომჟღავნებანი. რომელსაც საქართველოს მტრები უმზადებენ, ღირს შევეკითხოთ ჩვენ თავს, თუ დაიბრუნებს სამშობლო თავისუფლებას - ჩვენ გვჯერა, რომ ეს ხსნა შესაძლებელია; თუ საქართველო აღსდგება და თუ ჩვენ გვსურს გადარჩეს დაღუპვას, ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული ძლიერი ხელისუფლების ქვეშ, რომელსაც დაექვემდებარება ქართველი ხალხის შეგნებული ნება.

ეროვნული ძალების შეერთება შესძლებს ხელში აიღოს საქართველოს მომავლის ძლიერი მმართველობა.

ბევრი ქართველი, რომელთაც უნებურად მიხდება უწოდო კარგი ქართველი, გაურკვეველნი რჩებიან დღევანდელ საზოგადოების იმ მოვლენაზე, რომელიც ყოვლად უვარგის აზროვნებას ამჟღავნებს. ლაპარაკობენ პარტიაზე და პოლიტიკურ სისტემაზე დაახლოვებით ისე, როგორც დოღში მოჯიბრე ცხენებზე, თუ რომელი პარტია ვის გაასწრობს და პირველობა ვის დარჩება.

ასეთი ანარქიული განწყობილება სახელმწიფოსადმი ნათელი საბუთია რუსეთის დემოკრატიზმის გავლენისა ეროვნულად დასუსტებულ და დაქვეითებულ სახელმწიფოში. დემოკრატიის იდეალი ეროვნული იდეალის გარეშე შეცდომაა, არა მის შემთხვევებსა და წვრილმანებში - არამედ მთავარ და არსებით მოვლენებში. დემოკრატია არის აუცილებლივ უფორმო, უსახო და ამორფიული, არა და იგი ვერ იქნება დემოკრატია. დემოკრატია არ მოეწყობა როგორც ორგანიზაცია, რადგან ორგანიზაციის აზრს აქვს რაიმეს საფეხური, გამოკლებული ამ რაიმეს საფეხურიდან თანასწორობის იდეა: შექმნა ორგანიზაციის ეს ნიშნავს გადარჩევის შეტანას და ეს არის შედეგი იმისა, რომ დაამკვიდრო საფეხურები და იერარქია.

მთელი ერი თუ შემოიკრიბება ერთ პიროვნებაში ან თუ გნებავთ ერთ ოჯახში და ამით მიაღწევს უმაღლეს საფეხურს ეროვნულ განვითარებისას, სჩანს არ შეედრება ვერც ერთი შეგნება, რომელიც შეუძლია მოგვცეს ადამიანის გონებას.

ჩვენ გვჯერა, რომ მომავალი დამოუკიდებელი საქართველო შეერთდება ერთ ეროვნულ კონათ, ერთ ეროვნულ დისციპლინაში და რჩეულ ელემენტთა საშუალებით, გარეშე პოლიტიკურ პარტიებისა, თვით აიღებს ხელში თავის ცხოვრების მართვა-გამგეობას.

საქართველო გული და გონება, ხალხი და რჩეული, ითხოვს მმართველობას, მას უნდა ძლიერი ეროვნული ხელისუფლება.

ბეჟ. გიორგაძე.

### შეცდომების გასწორება.

მე—17 ნომერში მეორე გვერდის უკანასკნელ სვეტზე ზევიდან 45—47 სტრიქონში სწერია: «მიკერძოებითი (პარტიული) სახელმწიფოებრივი აზროვნება», უნდა იყოს: პარციალური (ნაწილობრივი) სახელმწიფოებრივი აზროვნება.

ამავე ნომრის მესამე გვერდის მესამე სვეტში ბოლოდან, მესამე სტრიქონზე გამოტოვებულია წინადადება: დაღესტნის განთქმული ომარ-ხანი, მრავალი პარტიზანები და მათ შორის სომხეთის განთქმული მელიქ-აბოვი ათასი კაცით.

Le Gerant : Félix Kaldenbach    IMP. CAVALLIER, 28, RUE DU DÉPART.